სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/272

ქ. თბილისი 15 11 2019 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2019 წლის საშემოდგომო მიღებაზე მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რეგისტრაციის ვადების შესახებ.

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აპლიკანტები, რომლებიც 2019 წლის საშემოდგომო მიღებაზე პროფესიული ტესტირების საფუძველზე მოიპოვებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლებას, 2019 წლის 18 ნოემბერიდან 25 ნოემბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, უნდა წარმოადგინონ ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია (იხ.დანართი №1).
2. რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნეს შესაბამის ფაკულტეტებზე, დასვენებისა და უქმე დღეების გარდა (იხ.დანართი №2).
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს (თ. წერეთლი).
4. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

რექტორი არჩილ ფრანგიშვილი

დანართი № 1

1. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი“, სტუ-ის VIII კორპუსი, მე-6 სართული, ოთახი № 602, საკონტაქტო ტელეფონი 593 356615

2. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „ჰაერის კონდიცირება“, „საოფისე საქმე“, „სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „ღონისძიების ორგანიზება“, „ავტომობილის ელექტრული სისტემების შეკეთება“, „ავტომობილის ძრავის შეკეთება“, „სამკერვალო წარმოება“, „ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება“, „საბაჟო საქმე“, „გრაფიკული დიზაინის შესრულება“, „ხის მხატვრული დამუშავება“, „სარკინიგზო გადამზიდავი“, სტუ-ის I კორპუსი, მე-5 სართული, ოთახი №543, საკონტაქტო ტელეფონი - 2 36 40 35; 599 700804

3. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტორ-ტექნიკოსი“, სტუ-ის I კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი №410, საკონტაქტო ტელეფონი 555 573430

4. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამრეწველო ავტომატიზაცია“, სტუ-ის VI კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი № 220 ბ, საკონტაქტო ტელეფონი 599 970472

5. სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „სამთო ტექნიკოსი“, „სამთო ელექტრომექანიკოსი“, „მღებავი“ , „მებათქაშე“ , „ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, ქ.ტყიბული, კარლო ლომაძის მოედანი №4, საკონტაქტო ტელეფონი 599 988 927; 599 304 642

6. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „მევენახეობა“, „მეფუტკრეობა“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, „ბუღალტრული აღრიცხვა", სამტრედია, დიდი ჯიხაიში, ნ. ნიკოლაძის

დანართი №2

რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

1. დაბადების მოწმობის ასლი;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. ორი ფერადი ფოტოსურათი (3x4სმ) და მისი ელექტრონული ვერსია (CD დისკზე);
4. სამხედრო დოკუმენტის ასლი (სამხედროვალდებულთათვის);
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობით გათვალისწინებული დოკუმენტები - საბაზო/სრული განათლების ატესტატი ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი.